#3

ივლისი–სექტემბერი
2018

საინფორმაციო ბიულეტინი

პროფესიული ჯგუფების განათლება

„საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის (2017–2030)“ მიხედვით, მნიშნელოვანია ოჯახის დაგეგმვის სერვისები პირველადი ჯანდაცვის რგოლში უკეთ იყოს ინტერგრირებული. ამ მიზნით, 2018 წლის მესამე კვარტალში ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ მიერ არაერთი ღონისძიება დაიგეგმა და განხორციელდა ჯანდაცვის სფეროს სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის გადასამზადებლად და მათ მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხის ასამაღლებლად:

აგვისტოს დასაწყისში, ასოციაცია „ჰერა ოცდაერთმა“ გადაამზადა თბილისის პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების ექიმ–გინეკოლოგები და ოჯახის ექიმები. ტრენინგების ძირითადი თემა იყო ოჯახის დაგეგმვისა და კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდები. მონაწილეებმა მიიღეს სერთიფიკატები და I ტიპის კრედიტ–ქულები. ტრენინგები ჩატარდა კონფერენციის – „თანამედროვე ტექნოლოგიები მეან–გინეკოლოგიაში“ – ფარგლებში.

კიდევ ერთი ტრენინგი, სახელწოდებით „რეპროდუქციული ჯანმრთელობა საექთნო პრაქტიკაში“ ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომუშავე ექთნებისათვის. მსმენელებმა მიიღეს ცოდნა რეპროდუქციული ჯანდაცვის თანამედროვე მიდგომებსა და ტექნოლოგიებზე, გაიუმჯობესეს პაციენტთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მათი ფსიქო-სოციალური ასპექტების გათვალისწინებით.

გარდა შესაბამისი პროფილის მედიკოსებისა, ორგანიზაცია სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობით ზრუნავს სოციალური მუშაკების პოსტ-დიპლომურ განათლებაზეც. სექტემბრის დასაწყისში ჩვენ გადავამზადეთ 20-ზე მეტი სოციალური მუშაკი, რომლებმაც მიიღეს დეტალური ინფორმაცია რეპროდუქციული ჯანმრთელობის ელემენტების, რეპროდუქციული უფლებების, მოზარდობის ეტაპების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ, ასევე, რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობასა და ეფექტურ კომუნიკაციის მეთოდებზე.

საერთო ჯამში, აღნიშნული ტრენინგების შედეგად გადამზადდა ათობით მოქმედი მედიკოსი და სოციალური მუშაკი, რომლებსაც ახლა გაცილებით უკეთ შეუძლიათ რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისების მიწოდება პირველადი ჯანდაცვის რგოლშივე, რაც ქვეყნის მთელი ჯანდაცვის სისტემის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ მუდმივად ზრუნავს შესაბამისი პროფილის სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რათა გაიზარდოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

ახალგაზრდები

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ ტრადიციულად შეუერთდა ახალგაზრდების საერთაშორისო დღის აღნიშნვას. ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ახალგაზრდული ღონისძიებები წელს განსაკუთრებით მასშტაბური იყო.

ახალგაზრდების საერთაშორისო დღის - 12 აგვისტოს - აღნიშნვა ჩვენმა მოხალისეებმა და აქტივისტებმა აგვისტოს დასაწყისიდანვე დაიწყეს. „ჰერა ოცდაერთის“ მიერ ჩატარებული ორკვირიანი კამპანიის სლოგანი იყო „ახალგაზრდებზე მორგებული განათლება რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ჯანსაღი ცხოვრების წესზე შენი უსაფრთხო სივრცის გარანტიაა“. აქედან გამომდინარე იმ საინფირმაციო-საგანმანათლებლო სესიების თემატიკა, რომელიც კამპანიის ფარგლებში ჩატარდა, მოიცავდა შემდეგ საკითებს: ოჯახის დაგეგმვა, კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდები, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები და მათი პრევენციის გზები, მოზარდობა და გარდატეხის პერიოდში მიმდინარე ცვლილებები, ადრეული ქორწინება, ჯანსაღი ცხოვრების წესი და ა.შ.

წლევანდელი აქტივობები, გასული წლების მსგავსად, დედაქალაქს გასცდა და რამდენიმე რეგიონი მოიცვა. პროცესში თბილისის ახალგაზრდულ ჯგუფთან ერთად პირველად ჩაერთო სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდული ჯგუფები. საინფორმაციო კამპანიები და საგანმანათლებლო სესიები ორგანიზაციის თანატოლ-განმანათლებლებმა ჩაატარეს აჭარისა და იმერეთის რეგიონებშიც.

საერთო ჯამში, 20-მდე საინფორმაციო სესია და გასართობი- შემეცნებითი აქტივობა ჩატარდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ასევე, ხობის, ახალციხის, ადიგენისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში.

უშუალოდ 12 აგვისტოს, საინფორმაციო კამპანიები და საგანმანათლებლო ვიქტორინები ჩატარდა თბილისში, ხობსა და ახალციხეში - იქ, სადაც უკვე აქტიურად მუშაობენ ორგანიზაციის ბაზაზე შექმნილი ახალგაზრდული ჯგუფები. ვიქტორინის გამარჯვებულებმა ორგანიზაციისგან სიმბოლური საჩუქრები მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ რეგიონებში ახალგაზრდული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება შესაძლებელი გახდა ადგილობრივ თვითმმართველობებთან და ლოკალურ საინიციატივო ჯგუფებთან თანამშრომლობით.

ახალგაზრდების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული წლევანდელი კამპანიის შედეგად, ორგანიზაციას ასობით აქტივისტი და მხარდამჭერი სტრუქტურა შეემატა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

მოხალისეობა

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ მოხალისეები წელსაც დიდი მონდომებით ჩაერთვნენ მშვიდობის კორპუსთან თანამშრომლობით გამართულ გოგონათა ბანაკში - SELF Camp. ბანაკში ყოველწლიურად მონაწილეობას იღებს 50-მდე მოზარდი გოგონა საქართველოს რეგიონებიდან, რომლებიც მშვიდობის კორპუსის ამერიკელი მოხალისეებისა და უფროსი ასაკის ქართველი ახალგაზრდა გოგონების დახმარებით ივითარებენ კომუნიკაციის, ლიდერობის, პროექტების დაგეგმვა-განხორციელების უნარ-ჩვევებს, სწავლობენ შემოქმედებით აზროვნებასა და დროის მენეჯმენტს, იღებენ ასაკზე მორგებულ ინფორმაციას ჯანსაღი ცხოვრების წესსა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.

„ჰერა ოცდაერთის“ მოხალისეები აქტიურად იყვნენ ჩართულები როგორც ბანაკის დაგეგმვის, ისე მისი მიმდინარეობის პროცესში. ჩვენმა თანასწორ-განმანათლებლებმა ბანაკის დაწყებამდე გადაამზადეს და ორგანიზაციის საქმიანობა გააცნეს ბანაკის ლიდერ გოგონებს, უშუალოდ ბანაკში კი თავადაც ჩაატარეს საინფორმაციო სესიები მონაწილეებისთვის.

ბანაკის ორივე, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ნაკადებმა, ძალიან წარმატებით და ნაყოფიერად ჩაიარა.

კამპანიები

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ორგანიზებით, სექტემბრის ბოლო კვირას გაიმართა კამპანია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. კამპანიის ფარგლებში ჩატარდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიები, თემატური პრეზენტაციები და პარტნიორული შეხვედრები.

კამპანიის ფარგლებში ჩატარებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა 26 სექტემბერს, კონტრაცეფციის მსოფლიო დღეს. ორგანიზაციამ წარადგინა პირველადი ჯანდაცვის რგოლში ჩატარებული საპილოტე კვლევის შედეგები. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, პირველადი ჯანდაცვის რგოლში შემავალი სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელი პირები და რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლები. შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები. ეს რეკომენდაციები საფუძვლად დაედება ფართომასშტაბიან კვლევას, რომელსაც ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ ჩაატარებს პირველადი ჯანდაცვს რგოლში რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისების დანერგვის მზაობის შესაფასებლად და საჭიროებების გამოსავლენად.

მომდევნო შეხვედრა 28 სექტემბერს, უსაფრთხო აბორტის საერთაშორისო დღეს ჩატარდა. პარტნიორული შეხვედრის მიზანი იყო ორგანიზაციის საქმიანობის პრეზენტაცია სქესობრივი განათლების მიმართულებით. უფრო კონკრეტულად, წარვადგინეთ ჩვენს მიერ ჩატარებული თემატური კვლევები, სხვადასხვა აუდიტორიისთვის შექმნილი ელექტრონული სასწავლო პლატფორმები, სასწავლო კურსები და სხვ. შეხვედრას მასწავლებლებთან, სკოლის ექიმებთან, მშობლებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ესწრებოდნენ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ახალგაზრდული საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიები თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებასთან და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით. ასევე, შეხვედრა სტუდენტებთან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პარტნიორობა

2018 წლის მესამე კვარტალში ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ საგანმანათლებლო, ახალგაზრდული, კვლევითი თუ სხვა სახის აქტივობები განხორციელდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან და ორგანიზაციასთან თანამშრომლობით.

პირველ რიგში, აღსანიშნავია საერთაშორისო თანამშრომლობა მშვიდობის კორპუსთან, რომელთან ერთადაც წლებია ვახორციელებთ არაერთ ახალგაზრდულ-საგანმანათლებლო აქტივობას. ეროვნული დონეზე აღსანიშნავია ჩვენი აქტიური თანამშრომლობა განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებთან. ასევე, სახალხო დამცველის აპარატთან და შესაბამის თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ახალგაზრდების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თანამშრომლობა დავამყარეთ სხვადასხვა რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. უკვე რამდენიმე თვეა საკმაოდ ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ თბილისის მერიის ა(ა)იპ „ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებასთანაც“. პროფესიული ჯგუფების განათლების კუთხით აღსანიშნავია ჩვენი თანამშრომლობა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, ახალგაზრდა მოწყვლადი ჯგუფების განათლების მიმართულებით კი პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან.

მედია ჩვენზე

„ვიქტორინის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების ინფორმირებულობა რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებით და ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა სამოქალაქო აქტივიზმში“ - ვკითხულობთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური მედიასაშუალების, TV9-ს ნიუში, რომელიც ეძღვნებოდა ასოციაციის ბაზაზე შექმნილი ახალციხის ახალგაზდული ჯგუფის მიერ, 12 აგვისტოს, ახალციხეში ჩატარებულ ღონისძიებას.

აღსანიშნავია, რომ TV9 ყოველთვის აქტიურად აშუქების ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.



საინფორმაციო ბიულეტინი მომზადებულია
ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ მიერ.

ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს HERA-YOUTH.GE
ან, სოციალურ ქსელ facebook-ზე
ASOCIATONHERAXXI
და გაიგეთ უფრო მეტი ჩვენს შესახებ.